


სტრატეგიული მიზნები და ამოცანები:

სტრატეგიული მიზნების განთავსება #1: განათლების ხარისხის გაუმჯობესება და ხელმძღვანელების საწვდომობის უზრუნველყოფა.



აღნიშნული სტრატეგიული მიზნების და ამოცანების შესრულების მიზნით, 2016-2020 წლების განმავლობაში სამინისტრო გეგმავს სხვადასხვა პროგრამის განხორციელებას. 2016 წლის პროგრამების ჩამონათვალი და მათი მოკლე აღწერილობა იხილეთ დანართი #3-ში; 2015 წლის პროგრამების შეფასებები, რომლებიც გრძელდება 2016 წელს იხილეთ დანართი #4-ში.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის თანახმად, კულტურისა და სპორტის სფეროებისგან განსხვავებით განათლება არ წარმოადგენს აჭარის მთავრობის განსაკუთრებულ გამგებლობის სფეროს. შესაბამისად, წინამდებარე დოკუმენტი ეყრდნობა საქართველოს განათლების სისტემის სტრატეგიის დოკუმენტს და ითვალისწინებს რეგიონის სპეციფიკას.

განათლების ხელშეწყობა ქვეყნის, შესაბამისად აჭარის რეგიონის მდგრადი განვითარების უმნიშვნელოვანესი პირობაა.

განათლება წარმოადგენს ადამიანის ფუნდამენტურ უფლებას და ადამიანის ყველა სხვა უფლებების განხორციელების საფუძველს. ის ხელს უწყობს პიროვნების ინდივიდუალურ თავისუფლებას და გაძლიერებას. გაერთიანებული ერების და UNESCO (გაერთიანებული ერების განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაცია) ნორმატიული ინსტრუმენტები წარმოშობს საერთაშორისო სამართლებრივ ვალდებულებებს განათლების უფლების მიმართულებით. ეს ინსტრუმენტები ეხმარება და ავითარებს თითოეული პიროვნების უფლებას მიიღოს სათანადო ხარისხის განათლება, დისკრინიმაციის და გამონაკლისების გარეშე. სახელმწიფო ვალდებულია შეიმუშავოს განათლების ეფექტური სტრატეგია და უზრუნველყოს მოსახლეობისთვის ხარისხიანი განათლების ხელმისაწვდომობა.

დამატებით, განათლება მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია, ეკონომიკურად და სოციალურად მარგინალიზირებული მოზარდებისა და ბავშვების მიერ სიღარიბის დაძლევის და სრულფასოვან მოქალაქედ ჩამოყალიბების გზაზე.

განათლების სისტემამ უნდა უზრუნველყოს, ერთის მხრივ, პასუხისმგებლობისა და დემოკრატიული ღირებულებების მქონე მოქალაქეთა აღზრდა, მეორეს მხრივ კი - მოამზადოს შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი კადრები ეკონომიკის დივერსიფიკაციისა და საზოგადოების განათლების უზრუნველყოფისათვის რეალურინაბიჯების გადასადგმელად.

წინამდებარე დოკუმენტი ეყრდნობა საქართველოს განათლების სისტემის სტრატეგიის დოკუმენტს და იგი სრულად ითვალისწინებს საქართველოსა და ევროკავშირის შორის ასოცირების შესახებ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს განათლების, მეცნიერული კვლევისა და ტექნოლოგიების განვითარების სფეროში. იგი ასევე შეესაბამება ბოლონის პროცესის მოთხოვნებს, ევროპარლამენტისა და ევროპის საბჭოს რეკომენდაციებს მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის მიმართულებით, მსოფლიო დეკლარაციის „განათლება ყველასათვის“ ფარგლებში შეთანხმებულ მიზნებს, რომელთა შესრულების ვალდებულება საქართველომ იკისრა.

ძირითადი დაშვებები:

- აჭარაში, ისევე როგორც საქართველოს მთელს ტერიტორიაზე, განათლების მიმართულების ფარგლებში სამინისტროს საქმიანობა დამოკიდებულია ქვეყნის მასშტაბით მიმდინარე განათლების რეფორმაზე;
- განათლების სისტემაში გადაწყვეტილებების მიღება ხდება ცენტრალიზებულად. აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს განათლების მიმართულება მოიცავს სხვადასხვა კომპონენტს, რომელიც შეიძლება არ ექვემდებარებოდეს საქართველოს განათლების სამინისტროს კონტროლს, თუმცა გადაწყვეტილებებს იღებს საქართველოს განათლების სამინისტროსთან შეთანხმებით;
- განათლების მიმართულების განვითარება, როგორც მთლიანად ქვეყანაში, ასევე რეგიონში, ხორციელდება საერთაშორისო სტანდარტების თანახმად. ეროვნული სასწავლო გეგმები უკვე შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებს.
- აჭარის რეგიონში არსებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების 77% რეაბილიტირებულია, რაც საუკეთესო მაჩვენებელს წარმოადგენს ქვეყნის მასშტაბით;
- 2017 წლიდან, ახალი, დამატებითი 6 სკოლის რეაბილიტაცია არის დაგეგმილი MCA Georgia (ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - საქართველო) მიერ;
- ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ინფრასტრუქტურული გაუმჯობესება არის მათი აკრედიტაციის და ავტორიზაციის წინაპირობა. ავტორიზაცია სავალდებულოა ყველა სახის საგანმანათლებლო დაწესებულებისათვის, შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისა და სახელმწიფოს მიერ აღიარებული განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის გაცემისათვის. ინფრასტრუქტურის სახელმწიფო სტანდარტებთან შესაბამისობაში არ ყოფნის პირობებში დაწესებულება ვერ მიიღებს ავტორიზაციას და შესაბამისად მისი ფუნქციონირება დადგება რისკის ქვეშ.
- განათლების მიმართულების მთავარ გამოწვევას წარმოადგენს პროფესიული განათლების სფეროს ხელშეწყობა, რომელიც სასურველია გახდეს მომავლის პრიორიტეტი.
- განათლების სფეროში მიმდინარე პროგრამების შეფასება არ ხდება სისტემურად და შედეგები იზომება მოსწავლეთა / სტუდენტების აკადემიური შედეგებით, უმაღლეს სასწავლებელში ჩაბარების მაჩვენებლით და სხვა მსგავსი პარამეტრებით;

დასახული მიზნების და ამოცანების შესასრულებლად, ძირითადი დაშვებების გათვალისწინებით სამინისტრო განახორციელებს შემდეგ საქმიანობას:

- საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან კოორდინაციის გაძლიერებით მიიღებს უფრო აქტიურ მონაწილეობას განათლების სახელმწიფო პოლიტიკის შექმნაში;
- კონკურენტუნარიანობის და განათლების ხარისხის ზრდის ხარჯზე იბრძოლებს დასავლეთ საქართველოს მასშტაბით რეგიონული ცენტრის პოზიციის მოპოვებისათვის;
- განახორციელებს არსებული სტატისტიკური მონაცემების რეგულარულ ანალიტიკას, დანერგავს მეორადი კვლევის ჩატარების პრაქტიკას და შექმნის მუმდივმოქმედ კვლევისა და ანალიტიკის სისტემას, რომელიც უწყება დაეხმარება მიმართულების მდგრად განვითარებაში;
- ხელს შეუწყობს მის მიერ წარმოებული პროგრამების ბენეფიციარების ქსელების შექმნასა და განვითარებას (alumni network);
- ხელს შეუწყობს ინტერნეტ და საინფორმაციო ტექნოლოგიების გაუმჯობესების პროცესის ორგანიზებას საგანმანათლებლო სისტემაში;
- გააძლიერებს თანამშრომლობას საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციებთან, იმუშავებს ალტერნატიული დაფინანსების მოპოვების კუთხით;
- გააუმჯობესებს და განავითარებს კონკურსებისა და წახალისების სიტემებს, რაც ხელს შეუწყობს განათლების სფეროს განვითარებას და მდგრადობას;

საგანმანათლებლო დაწესებულებების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების მიმართულებით:

- განახორციელებს ინფრასტრუქტურულ პროექტებს, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების (მათ შორის პანსიონების) ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების/შესაბამისი ინვენტარით აღჭურვის და აკრედიტაცია - ავტორიზაციის პირობების დაკმაყოფილების მიზნით;
- განავითარებს სასკოლო ბიბლიოთეკებს (შეავსებს ბიბლიოთეკებს ქართველი და მსოფლიო კლასიკოსების, საბავშვო, საცმაწვილო, შემეცნებითი ხასიათის, ლექსიკონებითა და სხვა სახის ლიტერატურით);
- განავითარებს სპორტულ ინფრასტრუქტურას (საჯარო სკოლების სპორტული დარბაზები და ინვენტარი);
- განავითარებს სსიპ ბათუმის პროფესიული კოლეჯი „ბლეკის“ ინფრასტრუქტურას
- განავითარებს აჭარაში მოქმედი სახელმწიფო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ინფრასტრუქტურას


განათლების ხელმისაწვდომობის გაზრდის მიმართულებით:

- შეარჩევს და დაასაქმებს ახალგაზრდა და კვალიფიციურ კადრებს სკოლებში, პრიორიტეტულ მიმართულებებში მასწავლებელთა დეფიციტის აღმოფხვრის მიზნით;
- დააფინანსებს ბაკალავრის და მაგისტრატურის საფეხურზე სწავლებას როგორც საქართველოში, ასევე მის ფარგლებს გარეთ; კვალიფიციური, კონკურენტუნარიანი, საერთაშორისო მოთხოვნების შესაბამისად მომზადებული ახალგაზრდა თაობის ჩამოყალიბების მიზნით ხელს შეუწყობს საზღვარგარეთ სტაჟირების პროგრამების გავლას და დაფინანსებას;
- განახორციელებს პროგრამებს ინკლუზიური და პროფილური განათლების ხელშეწყობის მიზნით;
- განახორციელებს უწყვეტი განათლების ხელშეწყობას სასწავლო აქტივობების და პროგრამების მეშვეობით, პრიორიტეტების განსაზღვრის საფუძველზე;

განათლების ხარისხის გაზრდის მიმართულებით:

- დააფინანსებს და წაახალისებს კონკურსების და ოლიმპიადების სისტემას, რითიც ხელს შეუწყობს სკოლაში სწავლა-სწავლების ხარისხის ამაღლებას;
- ხელს შეუწყობს მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებას მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულ ცენტრთან მჭიდრო თანამშრომლობის გზით;
- ხელს შეუწყობს სასწავლო / სამეცნიერო საქმიანობის განვითარებას უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში;

სტრატეგიული მიმართულება #2: კულტურის განვითარება, ხელშეწყობა და ოპულარიზაცია



პროგრამები: პრიორიტეტებიდან და სტრატეგიული მიზნებიდან გამომდინარე, დასახული ამოცანების შესასრულებლად შექმნილია კულტურის პროგრამები. 2016 წლის პროგრამების ჩამონათვალი და მათი მოკლე აღწერილობა იხილეთ დანართი #3-ში; 2015 წლის პროგრამების შეფასებები, რომლებიც გრძელდება 2016 წელს იხილეთ დანართი #4-ში.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის თანახმად, კულტურის სფერო აჭარის რეგიონში მიეკუთვნება „აჭარის განსაკუთრებულ გამგებლობა“-ს. მიუხედავად ამისა, რეგიონში დღემდე არ არსებობს კულტურის დამოუკიდებელი გრძელვადიანი პოლიტიკის დოკუმენტი, რომელზეც დაყრდნობითაც განათლების, კულტურის და სპორტის სამინისტრო, და ასევე ძეგლთა დაცვის სააგენტო შეიმუშავენ მოკლევადიან სტრატეგიასა და სამოქმედო გეგმას. სამინისტრო სტრატეგიის და სამოქმედო გეგმის შემუშავებისას ეყრდნობა საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მიერ შემუშავებულ პოლიტიკის დოკუმენტს და ითვალისწინებს აჭარის რეგიონის სპეციფიკას.

საქართველოს

კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მისიაა კულტურის ხელშეწყობი გარემოსა და პირობების შექმნა ქვეყნის მდგრადი განვითარებისა და საზოგადოების კეთილდღეობისთვის. მისიი დანგამომდინარე,

კულტურის სტრატეგიის ზოგადი ხედვაა კულტურის ეკონომიკური გავლენის გაძლიერება და საზოგადოების კეთილდღეობის მხარდაჭერა კულტურული მემკვიდრეობის, ხელოვნების, შემოქმედების,

კულტურისა და შემოქმედებითი ინდუსტრიების განვითარებისთვის ხელშეწყობი გარემოსა და ფართო საზოგადოებისთვის ნოყიერი კულტურული ინიადაგის შექმნის გზით.

ეფუძნება რასაერთაშორისო და ღირებულ პრინციპებსა და გაერთიანებული ერების განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაციის (შემდგომში „იუნესკო“) პარიზის 2005 წლის 20 ოქტომბრის კონვენციას

„კულტურული მემკვიდრეობის დაცვის შესახებ“,

კულტურის პოლიტიკის კონცეფციაა დგენს კულტურის პოლიტიკის ღირებულებებსა და ძირითად მიმართულებებს.

კულტურის პოლიტიკის კონცეფცია ემსახურება საქართველოს კულტურული იდენტობის განვითარება-

შენარჩუნებას ევროინტეგრაციის კენსწრაფვის კონტექსტში და საქართველოს კულტურის პოტენციალის პარმონიულ, მდგრად და შემოქმედებით განვითარებას.

საქართველოს კულტურის პოლიტიკის ძირითად ღირებულებად აღიარებულია: პიროვნების შემოქმედებითი მოღვაწეობის თავისუფლება, სრული დამოუკიდებლობა და კულტურული მრავალფეროვნება.

კულტურა გადაჯაჭვულია ქვეყნის მდგრადი განვითარების დარგებთან, საზოგადოებრივი ცხოვრების სფეროებთან და შესაბამისად, ქვეყნის განვითარების ერთიანი სახელმწიფო ხედვის ნაწილია. კულტურა თანაბრად ხელმისაწვდომი უნდა იყოს ურბანული და სოფლის მაცხოვრებლებისათვის.

კულტურის პოლიტიკის კონცეფციას საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნებასა და განვითარებაზეა ორიენტირებული და კულტურას განიხილავს ზოგადსაკაცობრიო ღირებულებათა კონტექსტში. კულტურის პოლიტიკის მიზნების ცდებარო მელიმეკონკრეტული უწყების კომპეტენციას. ამდენად, კულტურის

მიმართულება თავის თავში უნდა აერთიანებდეს უწყებათაშორის საქმიანობებს. შესაბამისად აჭარის კულტურის მიმართულების პოლიტიკა უნდა ემსახურებოდეს ზემოთაღნიშნული ღირებულებების დამკვიდრებას.

აჭარის კულტურის პოლიტიკის დოკუმენტი ეყრდნობა საქართველოს კულტურის პოლიტიკის დოკუმენტს და ითვალისწინებს რეგიონის თავისებურებებს.

აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მუშაობის ძირითადი პრიორიტეტია: კულტურის განვითარება, ხელშეწყობა და პოპულარიზაცია.

ამისათვის სამინისტრო თავის ძალისხმევას მიმართავს აჭარაში არსებული კულტურული ძეგლების რეაბილიტაცია-კონსერვაციის პროცესის ეფექტიანობის გაზრდისაკენ, აჭარაში კულტურის სფეროში მოქმედი ინსტიტუციების (თეატრების, მუზეუმების, სახელმწიფო ანსამბლების, კულტურის ცენტრის) განვითარების ხელშეწყობის და ხელოვნების და კულტურის სფეროში კვალიფიციური კადრების მომზადებისაკენ.

სამინისტროს მხრიდან, საზოგადოებისათვის კრეატიული და ინოვაციური კულტურული შეთავაზებების მიწოდებაზე ზრუნვა უზრუნველყოფს მოსახლეობის კულტურული დონის ამაღლებას და დასავლური ფასეულობების განმტკიცებას, რაც სამოქალაქო საზოგადოების განვითარების მტკიცე გარანტს წარმოადგენს.

სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, აჭარის მთავრობა საკუთარი ბიუჯეტის 10%-ზე მეტს ხარჯავს კულტურის მხარდასაჭერად, რაც გამორჩეულად მაღალი მაჩვენებელია საქართველოს დანარჩენ რეგიონებსა და პოსტსაბჭოთა ქვეყნებთან შედარებით. შესაბამისად არსებობს უფრო დიდი მოლოდინი კულტურის ორგანიზაციების მხრიდან უკუგების თაობაზე (უფრო მეტი და მაღალი ხარისხის კულტურის პროექტები); დაფინანსების მოდელები მოიცავს როგორც სამინისტროს მიერ დაარსებული სსიპ-ების დაფინანსებას, ასევე დაფინანსებას კონკურსის წესით, რისი რამდენიმე წლიანი გამოცდილებაც აახლოვებს უწყებას დასავლურ გამოცდილებასა და საერთაშორისო სტანდარტებთან.

შესაბამისად, კულტურა უნდა ჩამოყალიბდეს ქმედით ინსტრუმენტად სოციალური ინტეგრაციის, მცირე მეწარმეობის განვითარების, რეგიონის ბრენდირების და ტურიზმის განვითარებისთვის არასეზონურ პერიოდში და მრავალფეროვანი სერვისების შეთავაზებისთვის სეზონის მიმდინარეობისას.

ძირითადი დაშვებები:


- ქვეყნის მასშტაბით და აჭარის რეგიონის დონეზეც საზოგადოება ნაკლებად არის ინფორმირებული კულტურისა და შემოქმედებითობის განვითარების პროცესების შესახებ და არ აქვს გაცნობიერებული მისი პოტენციალი ქვეყნის მდგრად განვითარებაში;
- ქვეყნის მასშტაბით და აჭარის რეგიონის დონეზეც კულტურა თანაბრად არ არის ხელმისაწვდომი საზოგადოების ყველა წევრისთვის. საკმარისად არ არის დაცული და განვითარებული კულტურული მრავალფეროვნება;
- კულტურის სფეროში არსებული კანონმდებლობა მოძველებულია და საჭიროებს განახლებას / მოდიფიცირებას;
- კულტურის სფეროში დაგეგმილი ინტერვენციებისათვის მნიშვნელოვან დადებით მოცემულობას წარმოადგენს ბიუჯეტიდან დაფინანსების სტაბილურობა და დაფინანსების დინამიური ზრდა, რადგან ზოგიერთი აქტივობა, მაგალითად ძეგლების კონსერვაცია-რეაბილიტაცია საკმაოდ დიდ თანხებთან არის დაკავშირებული.
- კულტურის სფეროში დღეს განხორციელებული ფინანსური ინვესტიციის ეფექტიანობა შესაძლოა ათი ან მეტი წლის შემდეგ გამოჩნდეს (ისევე როგორც განათლების სისტემაში).
- აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს განწყობა რეფორმისტულია და კვლევაზე, სწავლება-გადამზადებაზე, მართვის გაუმჯობესებაზეა ორიენტირებული;
- აჭარის რეგიონის რეალობაში გამოიკვეთა მნიშვნელოვანი გარემოება - განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო უფრო მეტად ინოვაციური და აქტიურია ორგანიზაციებისთვის სხვადასხვა სტიმულების მიცემის გზით, ვიდრე თავად ორგანიზაციები. სამინისტროს ყავს პროგრესულად მოაზროვნე კადრები და მუდმივად ხელს უწყობს კულტურის სფეროში მოღვაწე ორგანიზაციებს მათი ინიციატივების მხარდაჭერის გზით.
- სამინისტროს აქვს მუდმივი (გარკვეულწილად შედეგიანი) მცდელობა რეგიონებში კულტურული ცხოვრების გამოცოცხლების, მრავალფეროვნების დანერგვის ხელშეწყობის;
- არსებობს კარგი შესაძლებლობა შესაძლებლობა კულტურისთვის დაფინანსების გაზრდის მიმართულებით, სექტორთშორისი თანამშრომლობის საფუძველზე.

დასახული მიზნების და ამოცანების შესასრულებლად, ძირითადი დაშვებების გათვალისწინებით სამინისტრო განახორციელებს შემდეგ საქმიანობას:

- შეიმუშავებს კულტურის პოლიტიკას და მოახდენს საკანონმდებლო ბაზის საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანის და სრულყოფის პროცესის ინიცირებას;
- აჭარის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტთან კოორდინაციაში განავითარებს პროექტებს კულტურის ტურიზმის მიმართულებით;
- ხელს შეუწყობს კულტურის სფეროში მოღვაწე კერძო სექტორს;
- ითანამშრომლებს ადგილობრივ და საერთაშორისო ორგანიზაციებთან და ფონდებთან, კულტურის მიმართულებით ალტერნატიული დაფინანსების წყაროს მოსაპოვებლად;
- გაზრდის ინფორმაციის ხელმისაწვდომობას კულტურის პროდუქტებზე;
- წახალისებს ეთნოგრაფიულ სამეცნიერო საქმიანობას;
- დაასრულებს კულტურული ძეგლების ინვენტარიზაცია-პასპორტიზაციას მთელ რეგიონში;
- შეადგენს კულტურული ძეგლების საკონსერვაციო და აღდგენითი სამუშაოების სარეაბილიტაციო გეგმას პრიორიტეტების მიხედვით და განახორციელებს კონსერვაცია / რესტავრაციას.
- აღადგენს მუზეუმების ინფრასტრუქტურას, შექმნის სამუზეუმო ექსპონატების ერთიან ბაზას და ჩაატარებს ექსპონატების აღრიცხვა-პასპორტიზაციას;
- ხელს შეუწყობს კულტურული მემკვიდრეობის გიდების პროფესიულ ზრდას, ლეგენდების და ისტორიების მოძიებას და სამიზნე ჯგუფებამდე მიტანას;
- დანერგავს მუზეუმების და გალერეების მართვის თანამედროვე მოდელებს, შეიმუშავებს და დანერგავს საკომუნიკაციო სქემებს, დანერგავს თანამედროვე სერვისების სისტემას;
- განახორციელებს არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის მხარდაჭერ პროგრამებს; მოახდენს ფოლკლორის არქივაციას, დიგიტალიზაციას, კატალოგიზაციას და განათავსებს მას ვირტუალურ სივრცეში;
- მოახდენს აჭარის კულტურის ორგანიზაციების მოდერნიზებას, შეიმუშავებს თანამედროვე მართვის წესებს და რეგულაციებს საერთაშორისო სტანდარტების გათვალისწინებით;
- ხელს შეუწყობს სახელოვნებო განათლების ხარისხის ამაღლებას და ხელოვნების სფეროში კვალიფიციური კადრების მომზადებას;
- გააუმჯობესებს კულტურისა და სახელოვნებო სახელმწიფო ინსტიტუციების მართვის სისტემას;
- ითანამშრომლებს სახელოვნებო და კულტურის არასახელმწიფო ინსტიტუტებთან, კულტურის სფეროს განვითარების მიზნით;
- წახალისებს / ხელს შეუწყობს ახალ და ინოვაციურ პროექტებს;

- ხელს შეუწყობს კულტურული ღონისძიებების ორგანიზებას და უზრუნველყოფს მათ შესაბამის საინფორმაციო გაშუქებას;
- სხვა უწყებებთან და ორგანიზაციებთან კოოპერირებით მოახდენს საერთო კომერციული კულტურული პროექტების ინიცირებას;
- იზრუნებს კულტურულ-შემოქმედებითი პროდუქტების ბრენდირებასა და მარკეტინგზე ადგილობრივ და საერთაშორისო ბაზარზე;
- შექმნის კულტურული ობიექტების და კულტურის მოღვაწეების ერთიან ბაზასდა მოახდენს მათ პოპულარიზაციას;
- შექმნის მთელი წლის კულტურულ კალენდარს, რომლის პოპულარიზაცია და გავრცელება მოხდება პოპულარული საკომუნიკაციო წყაროებით და ტურისტებისთვის საინტერესო ვებ გვერდებით (მაგ. www.infobatumi.ge www.gobatumi.com)
- ხელს შეუწყობს ტრადიციული და თანამედროვე ხელოვნებას შორის თანაფარდობის ზრდას თანამედროვე ხელოვნების სასარგებლოდ (პროდიუსინგი და პროდუქტების შექმნა);
- ხელს შეუწყობს კულტურის სფეროს დაფინანსების თანამედროვე მოდელის დანერგვას, რომელიც ითავლისწინებს კონკრეტული კულტურული პროდუქტების (კონცერტი, სპექტაკლი, ა.შ.) დაფინანსებას, ზოგადი მიმდინარე დაფინანსების სანაცვლოდ;
- შეიმუშავებს ბათუმის ურბანული მემკვიდრეობის, როგორც კულტურის ცალკე მიმართულების ჩამოყალიბების გეგმას, სადაც სხვადასხვა სტრუქტურების წარმომადგენელთა ერთობლივი მუშაობით მოხდება ბათუმში არსებული 260 ძეგლის პრიორიტიზირება, გადარჩენა და განვითარება. შექმნის პრიორიტიზირების სისტემას, რომელიც დაფუძნებული იქნება ეკონომიკურ სარგებლიანობაზე და ამ სისტემის მეშვეობით განახორციელებს რეაბილიტაციის პროცესს;
- შეიმუშავებს კულტურული ობიექტების განკერძოების 10 წლიან გეგმას, რომელი პერიოდის მანძილზეც ჩადებს ინვესტიციას ინსტიტუციურ გაძლიერებასა და ინფრასტრუქტურაში, რითიც შექმნის განკერძოების მყარ და ეფექტურ საფუძველს;

სტრატეგიული მიზნები #3: მასობრივი დაპროფექციული სპორტის განვითარება და პოპულარიზაცია



პროგრამები:

პრიორიტეტებიდან და სტრატეგიული მიზნებიდან გამომდინარე, დასახული ამოცანების შესასრულებლად შექმნილია სპორტისპროგრამები. 2016 წლის პროგრამების ჩამონათვალი და მათი მოკლე აღწერილობა იხილეთ დანართი #3-ში; 2015 წლის პროგრამების შეფასებები, რომლებიც გრძელდება 2016 წელს იხილეთ დანართი #4-ში.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის თანახმად, სპორტის სფერო აჭარის რეგიონში მიეკუთვნება „აჭარის განსაკუთრებულ გამგებლობა“-ს. მიუხედავად ამისა, რეგიონში დღემდე არ არსებობს სპორტის დამოუკიდებელი გრძელვადიანი პოლიტიკის დოკუმენტი, რომელზეც დაყრდნობითაც განათლების, კულტურის და მეგლთა დაცვის სააგენტო შეიმუშავებს მოკლევადიან სტრატეგიასა და სამოქმედო გეგმას. სამინისტრო სტრატეგიის და სამოქმედო გეგმის შემუშავებისას ეყრდნობა საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მიერ შემუშავებულ, სპორტის სახელმწიფო პოლიტიკის დოკუმენტს და ითვალისწინებს აჭარის რეგიონის სპეციფიკას.

სპორტი თანამედროვე საზოგადოებაში სხვადასხვა ეროვნების, სარწმუნოების, ცხოვრების სრულიად განსხვავებული წესისა და სასოციალური კვლევების მქონე ადამიანების დამაკავშირებელი ფაქტორია. ქვეყნის სოციალურ - ეკონომიკური მდგრადი განვითარება გრძელვადიან პერსპექტივაში ეფუძნება ადამიანური რესურსების ფიზიკურ განვითარებას, შესაბამისად სპორტს როგორც პრიორიტეტს, გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება.

სპორტი გავლენას ახდენს ადამიანების ჯანმრთელობაზე, ფასეულობათა სისტემის ჩამოყალიბებასა და ადამიანთა ქცევაზე, ეკონომიკურის სისტემის ფუნქციონირებაზე, როგორც აღმზრდელი თბილისი და გამაჯანსაღებელი, იგი ასევე ხელს უწყობს ქვეყანაში ინტეგრაციული პროცესების განვითარებას. ამის ნათელი მაგალითია ოლიმპიური მოძრაობა და ევროპის სპორტის ქარტია, გაეროს მიერ სპორტის, როგორც მშვიდობისა და თანასწორობის საუკეთესო საშუალების გამოყენება კონფლიქტურ ზონებში.

საფინანსო-
სპორტს გააჩნია,
ისევე ეკონომიკური ფუნქცია.

უადრესად მნიშვნელოვანია, რომ სპორტი ხელს უწყობს სამოქალაქო თანხმობას და დიდ როლს თამაშობს ინტეგრაციულ პროცესებში არამხოლოდ რეგიონის ან ქვეყნის შიგნით, არამედ ქვეყნის გარეთაც. ეროვნული ნაკრებისა თუ ცალკეული სპორტსმენის წარმატება აერთიანებს განსხვავებული ეროვნების, სქესისა და აღმსარებლობის ადამიანებს და მათ ერთობის მძლავრ განცდას უჩენს. სპორტს ძალუძს, ხელი შეუწყოს საქართველოს ეთნიკურ უმცირესობათა ინტეგრაციას ქართულ საზოგადოებაში; სპორტს აქვს ხალხთა შორის ურთიერთობების აღდგენისა და გაუმჯობესების უმნიშვნელოვანესი პოტენციალი. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ამ მიმართულებით ჩვენი ქვეყნის ძალისხმევა რეგიონალური თვალსაზრისით, კავკასიის ხალხთა შორის კეთილი ურთიერთობის ისტორიული პოტენციალის გამოყენებით.

საქართველოში და მათ შორის აჭარაშიც დღეისათვის დაბალია მოსახლეობის ფიზიკური აქტივობისა და მასობრივი სპორტში ჩართულობის მაჩვენებლები და გაზრდილია არაგადამდებ დაავადებათა მაჩვენებლების სიხშირე, განსაკუთრებით ბავშვებსა და მოზარდებში (ტანადობის დარღვევა, სკოლიოზი, კიფოზი, ჭარბწონიანობა, გულსისხლძარღვთა, სიმსივნური და სხვა არაგადამდები დაავადებები).

აქედან

გამომდინარე, სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საკითხ წარმოადგენს მოსახლეობაში დაგანს აკუთრებით მოზარდთაობაში ფიზიკურიაქტივობისა და განათლების ხელშეწყობა, ჯანსაღი ცხოვრების წესის პრინციპების დამკვიდრება, მასობრივი დამაღალი მიღწევების სპორტის სპოპულარიზაცია, შესაბამისი ინფრასტრუქტურის განვითარება.

აჭარის იურიდიული სტატუსიდან გამომდინარე (სპორტი „აჭარის განსაკუთრებულ გამგებლობას“ მიეკუთვნება) რეკომენდირებულია სპორტისადმინისტრაციული დეპარტამენტი და სპორტის განვითარების პოლიტიკის შექმნა; სწორედ ამგვარი პოლიტიკა, რომელიც დაეფუძნება ერთიან კონცეფციას, უზრუნველყოფს სახელმწიფოსა და სპორტის უფრო მეტ ინტეგრაციას და სპორტის ინსტიტუციურ, გრძელვადიან და სისტემურ განვითარებას, რაც თავის მხრივ, გახდება სახელმწიფოს მიერ სპორტის მიმართებაში კონსტიტუციური და საერთაშორისოდ აღებული ვალდებულებების შესრულების საფუძველი. სპორტის რეგიონული პოლიტიკა უნდა გახდეს აჭარის რეგიონის განვითარების პოლიტიკის უმნიშვნელოვანესი კომპონენტი.

აჭარის რეგიონის სპორტის მიმართულებას მართავს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება - სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტი.

სამინისტროს სპორტის მიმართულებით აქვს ორი ძირითადი პრიორიტეტი:

- მასობრივი სპორტის და ჯანსაღი ცხოვრების წესის სპოპულარიზაცია,
- პროფესიული სპორტის განვითარების მხარდაჭერა

ძირითადი დაშვებები:

- სპორტთან ამეღროვესაზოგადოებაში სხვადასხვა ეროვნების, სარწმუნოების, ცხოვრების სრულიად განსხვავებული წესისა და ასულის კვეთების მქონე ადამიანების შემა კავშირებელი ფაქტორია;
- სპორტის სფეროში არსებული კანონმდებლობა მოძველებულია და საჭიროებს განახლებას / მოდიფიცირებას;
- სპორტის სფეროში დაგეგმილი ინტერვენციებისათვის მნიშვნელოვან დადებით მოცემულობას წარმოადგენს ბიუჯეტიდან დაფინანსების სტაბილურობა და დაფინანსების დინამიკური ზრდა.
- სპორტის სფეროში დღეს განხორციელებული ფინანსური ინვესტიციის ეფექტიანობა შესაძლოა გამოჩნდეს მხოლოდ რამოდენიმე წლის შემდგომ (ისევე როგორც განათლების და კულტურის სისტემაში).
- აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს განწყობა რეფორმისტულია და კვლევაზე, სწავლება-გადამზადებაზე, მართვის სისტემების გაუმჯობესებაზეა ორიენტირებული;

- სპორტულ სამყაროში არ არსებობს რეალური კომერციული კონკურენცია;
- ჭიდაობა, ძიუდო, მშვილდოსნობა და კალათბურთი არის სპორტის ყველაზე მეტად წარმატებული სახეობები;
- სპორტის დაფინანსების სფეროში არ მოქმედებს გრანტების პროგრამა, რაც გამოწვეულია ხარისხის შემოწმების მექანიზმების არ არსებობით;

დასახული მიზნების და ამოცანების შესასრულებლად, ძირითადი დაშვებების გათვალისწინებით სამინისტრო განახორციელებს შემდეგ საქმიანობას:

- დაიწყებს მუშაობას სპორტის პოლიტიკის შემუშავების და საერთაშორისო კანონმდებლობასთან დაახლოების კუთხით;
- განავითარებს პროფესიული და მასობრივი სპორტისთვის საჭირო ინფრასტრუქტურას;
- ითანამშრომლებს მუნიციპალიტეტებთან სასკოლო სპორტის განვითარებისათვის;
- ფედერაციებთან მჭიდრო თანამშრომლობით შეიმუშავებს სპორტული აქტივობების წლიურ კალენდარს და გაავრცელებს მას ადგილობრივი მოსახლეობის და ტურისტებისათვის სხვადასხვა ინტერნეტ და მედია საშუალებებით (სპორტული ტურიზმის, როგორც ტურიზმის პერსპექტიული მიმართულების ხელშეწყობისათვის);
- გააძლიერებს ფედერაციებთან თანამშრომლობას ნაყოფიერების გაზრდის მიზნით;
- განახორციელებს პროექტებს მწვრთნელების, მსაჯების, სპორტსმენების და სპორტის სფეროში მენეჯმენტის გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლებისთვის;
- პროფესიული სპორტის განვითარების მიზნით სამინისტრო აქტიურად გააგრძელებს მუშაობას სპორტსმენთა მომზადების, საერთაშორისო შეჯიბრებებში მიღწევების გაზრდის მიზნით;
- ხელს შეუწყობს სპორტში კონკურენციას;
- ხელს შეუწყობს საერთაშორისო ტურნირების ორგანიზებას აჭარის მთელ ტერიტორიაზე და ბათუმში, რომელსაც აქვს პოტენციური გახდეს ტურნირების ჩატარების ცენტრი;
- დააარსებს ყოველწლიურ მარათონს და განახორციელებს სხვა აქტივობებს, რათა ხელი შეუწყოს მასობრივი სამოყვარულო სპორტის განვითარებას და მოსახლეობის ჩართულობას პროცესში;